

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის
N28 ბინაზე, მოქალაქე ვახტანგი ნემსაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ნიკეას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N28 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ვახტანგი ნემსაძის წარმომადგენლის ღაფით რუხაძის განცხადება /2012 წლის 17.05 Nრ-3926/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N28 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ვახტანგი ნემსაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვახტანგი ნემსაძეს /პირადი N60001144646/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N7ა საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე /საერთო ფართობი 78,25 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 41,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 37,15 კვ.მ./ მოქალაქე ვახტანგი ნემსაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე